ხელშეკრულება № 21
მომსახურების შესახებ

ქ. გორი

06 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლა“ (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუნუ წკვალობის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ (შემდგომში “შემსრულებელი”), წარმოდგენილი მისი დირქტორის გიორგი ხიდაშელის სახით, ეხელშეკრულობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა) იპ „თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ მიერ მომსახურების გაწევა (შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ნარჩენების გატანა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშვალება „კამაზით“ (სახ.ნომერიBS087BS)).

2. მომსახურების ობიექტი

2.1. მომსახურების ობიექტია სსიპ „ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლის“ ტერიტორიიდან (მის. გორის რ-ნი სოფ. ძევარა) სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ნარჩენების გატანა. *CPV-90900000*

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 მომსახურების საგნის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
3.2. მომსახურების საგნის ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს ხოლო, დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. მომსახურების საგნის ხარისხი და გარანტია

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2015 წლის 30 ნოემბრამდე დამკვეთლის მოთხოვნის შესაბამისად.
5.2. შესრულების მიმწოდებელი მხარე პარალელურად უფლებამოსილია მომსახურების გაწევის შემდგომ დამკვეთელს წარუდგინოს შესაბამისი თანმხლები დოკუმენტაცია გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად (მიღება- ჩაბარების აქტი ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია).

6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

6.1. შემსრულებელთან (მიმწოდებელთან) ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
6.2. მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება შესაძლოა მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.
6.3. ანგარიშსწორება დამკვეთლის მიერ მოხდება მომსახურების საგნის (ობიექტის) მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. დამკვეთელს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მომსახურების საგნის (ობიექტის) ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. დამკვეთელი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს(**შემსრულებელს**) უფლება აქვს:
- მოსთხოვოს დამკვეთელს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი(**შემსრულებელი**) ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის

განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების რომელიმე მხარის ინტერესები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი:

სსიპ „ალექსანდრე ჯავახიშვილიოს სახელობის
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო
სკოლა.
ს/კ218047735
მისამართი: სოფ. ძევერა
ბანკი „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE56LB0121189856[illegible]
დირექტორი: ნუნ[illegible]

შემსრულებელი (მიმწოდებელი)

ა(ა) იპ თვითმმართველი თემის გორის
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
მისამართი: ქ.გორი, ცხინვალის გზატ მე-5 კმ
ბანკი: „ლიბერთი ბანკი" გორის ფილიალი
ს/კოდი : 417884622
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE65LB0115135041722000
დირექტორი - გიორგი ხიდაშელი

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ქ.გორი 30 ნოემბერი 2015 წ.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ "ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლა" (შემდგომში „დამქირავებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნუნუ წულელიძის სახით, და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით, ვადგენთ ამ მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ 2015 ნოემბრის თვეში „დამქირავებელმა" მიიღო, ხოლო „შემსრულებელმა" ჩააბარა:

სსიპ „ალექსანდრე ჯავახიშვილს სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ხის ნარჩენების გატანის მომსახურება.

მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 50 (ორმოცდაათი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

"დამქირავებელი"

სსიპ „ ალექსანდრე ჯავახიშვილიოს სახელობის

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერის საჯარო სკოლა.

ს/კ 218047735

მისამართი: სოფ. ძევერა

ბანკი „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE56LB0121189856[illegible]

.....

დირექტორი: ნ[illegible]ელიძე

„შემსრულებელი:"

ა (ა) იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახური

ს/კ 417884622

მისამართი: გორი, ცხინვალის გზ. მე-5 კმ

ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა: GE65LB0115135041722000

დირექტორი - გიორგი ხიდაშელი